

# საქართველო

21  
ნოემბერი

საშუალო,

1961 წ.

№ 188 (1824)

გამომცემის № 18 წელი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ДЕЛО



ჩვენ უკვე ვიწყებოდით გუნდური ბრძოლის შედეგებს ტანვარჯიშში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის პირველი დღის შემდეგ. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ოსტატი ვაჟების გამოსვლის შემდეგ მიდიოდა მეოთხე ადგილზე

სპორტის სახალხო წარმატებით მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის ბალეტის გასტროლები. ყინულზე მოციგურავეებს ესტუმრნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენის ოსტატები — ვ.

კაბუჯიანი, ზ. კიკელიძე და სხვ. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ყინულისა და სცენის ბალეტის ოსტატებს: მარცხნიდან — ზ. კიკელიძე, შვილი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თ. კაბუჯიანი — საქართ-

ველოს სსრ სახალხო არტისტი და ვ. კაბუჯიანი — სსრ სახალხო არტისტი სტუმრებთან ერთად. ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მრავალჭილის ფინიში — თბილისში

მოსკოვის, უკრაინისა და რსფსრ-ის ლიდერი კოლექტივების შემდეგ პირველთაორიგოსანი ვოლოგნების გამოსვლამ მეორე დღეს არავითარი კორექტივი არ შეიტანა ლიდერთა განლაგებაში. 743,76 ქულით პირველ ადგილზე იყო მოსკოვი, მეორეზე — უკრაინა — 738,15, მესამეზე რსფსრ — 731,18, მეოთხეზე — საქართველო — 719,35.

საქართველოს ოსტატი ქალები გამოდიოდნენ მეორე დღეს საღამოს, უკანასკნელისწინა — მესამე ცვლაში. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ჩვენმა ქალთა გუნდმა შეინარჩუნა კოლექტივის საერთო მარჯვენებელი, რომელიც მათი გამოსვლის შემდეგ კვლავ მეოთხე იყო საუკეთესო გუნდურ მარჯვენებლებს შორის. მოსკოველი მაყურებლების ერთსულლოვანი მოწონება დაიხსახურეს ამ დღეს ჩვენი გუნდის ცალკეულმა წარმომადგენლებმა — ა. ჩანუყაშვილმა, მ. ნინოშვილმა და ვ. ჭაჩაიამ. ა. ჩანუყაშვილი მესამე ადგილზეც კი მიდიოდა მრავალჭილის პირველ სამ ცვლაში გამოსულ სპორტსმენთა შორის.

ცალკეულ იარაღებზე ოსტატ ქა-

ლთა შორის ამ დღეს გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ლ. ლატინინა — ხტომებში — 9,5 ქულა, ლ. პეტუხოვა — დვირი — 9,5, ი. პერვუშინა — ორძელი — 9,8, თ. ლიუბინა — თავისუფალი ვარჯიში — 9,5. ჩემპიონატის მესამე დღეს გვასახელებს ოსტატა ვ. ვაჟა. ყოველი მათგანი ძაღლების მაქსიმალური დაძაბვით იბრძოდა ოპონენტის, რომ განდისათვის უზრუნველყო რაც შეიძლება მაღალი მარჯვენებელი. და აი, მონდომების შედეგად: ნებისმიერი ვარჯიშების შემდეგ ჩვენმა ვაჟთა გუნდმა გადაუსწრო რსფსრ-ის ძლიერ კოლექტივს და გავიდა მესამე ადგილზე! ეს ჩვენი ოსტატების შესანიშნავი მიღწევაა, რომელშიც ღირსეული წვლილი შეიტანა გუნდის ყოველმა წევრმა.

მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიხსახურა ამ დღეს საქართველოს გუნდის ლიდერმა ნ. მაკალათიამ. მისი თავისუფალი ვარჯიში შედეგებით იყო მეტად რთული კომპლექსებით, რომლებიც ქართველმა ოსტატმა შესანიშნავად დახვეწილად, ჭეშმარიტად სამხრეთული ტემპერამენტით. სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების ჩამში ნ. მაკალათიამ ამ სახეობაში დააგროვა 18,65 ქულა, რაც მხოლოდ 0,05 ქულით ნაკლები იყო დაწინაურებული ი. ცაბენკოს შედეგზე. კარგად გამოვიდარ. კაბახიძეც ღერძზე, რომელიც ლიდერთა შორის იყო.

დანარჩენ იარაღებზე სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შემდეგ საუკეთესო შედეგები ჩქონდათ: ი. ტიტოვს — ხტომებში — 19,0; ა. აზარიანს — რგოლებზე — 19,2, ი. ცაბენკოს — ორძელზე და ტაიქზე — შესაბამისად 19,45 და 19,3, პ. სტოლბოვს — ღერძზე — 19,35 ქულა.

მაგრამ ეს არ იყო საბოლოო შედეგები. ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულნი და პრიზიორები უნდა გამოველინა კიდევ ერთ-ერთადურ ასპარეზობაში შესრულებულ დამატებით ვარჯიშებს (ფინალში ყოველ იარაღზე გადიოდა ექვსი

საუკეთესო მარჯვენების მქონე სპორტსმენი). და აი, შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა ფინალი, რომელმაც გამოავლინა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ტანვარჯიშულ იარაღებზე. ესენი არიან: ქალთა შორის — ლ. ლატინინა (ორძელი), პ. ასტახოვა (დვირი), ი. ვოლჩაკოვა (ხტომა), თ. ლიუბინა (თავისუფალი ვარჯიში); ვაჟთა შორის — ი. ცაბენკო (ტაიქი, თავისუფალი ვარჯიში და ორძელი), ი. ტიტოვი (რგოლები და ღერძი) და ვ. ლავრენტიევი (ხტომა).

სამწუხაროდ, ფინალში ნ. მაკალათიამ არც თუ ისე მაღალი შეფასება მიიღო თავისუფალ ვარჯიშში — 9,3 ქულა, რამც ის მეტოქე ადგილზე გადააწვავდა 27,5 ქულით სამი ვარჯიშის ჩამში. ნ. მაკალათია ექვს უძელ ერესთან ერთად მონაწილეობდა ფინალურ ბჯვით ხტომებშიც. აქ მან მიიღო შეფასე-

ბა 9,6 ქულა და მეოთხე ადგილზე გამოვიდა. სამაგიეროდ, ბრწყინვალე ფინიში ჩქონდა რ. კაბახიძეს ღერძზე ვარჯიშში. მის მიერ მიღებულმა 9,7 ქულამ (სამი ვარჯიშის ჩამში — 28,55 ქულა) საშუალება მისცა მან უკან მოეტოვებინა ოთხი ფინლისტი და ვერცხლის მედალი მოეპოვებინა ამ იარაღზე.

გუნდურ ჩათვლაში საბოლოო შედეგები ასეთია: 1. მოსკოვი, 2. უკრაინა, 3. რსფსრ, 4. საქართველო, 5. ლენინგრადი და ა. შ.

პირადი პირველობა მრავალჭილში ჩატარდება თბილისში.

სურათში: სსრ კავშირის ჩემპიონატი. თავისუფალ ვარჯიშში ასპარეზობის წინ მოთვლევას ატარებენ პ. ასტახოვა და ლ. ლატინინა.

### ვ. რამიშვილი — ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელი

ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ცნობილია, რომ ქუთაისის „ტორპედომ“ მოიპოვა 1962 წელს საქართველოს პირველობაზე „ა“ კლასში თამაშის უფლება.

ქუთაისელ ფეხბურთელებს საგანგებო მზადება მართებთ ამ ძნელ და საპასუხისმგებლო ტურნირში წარმატებით მონაწილეობისათვის, ამ დღეებში ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა მთავარ მწვრთნელად დაინიშნა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მქაი ვ. რამიშვილი.



ლიდი გამარჯვება არგენტინაში

ბუენოს-აირესში, არგენტინაში

დედაქალაქში უაღრესად უღელტეხილად იწყება საქართველოს თელების ვიზიტი. არგენტინელები საგანგებოდ ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატის მომავალი ფინალური ტურნირისათვის, სადაც მათ კარგა ხანია მოიპოვეს თამაშის უფლება, ამიტომ თავიანთი ნაყრების ყოველ მატჩს ისინი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ადგილობრივ სპორტულ წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა კავშირის ნაყრებმა ჩამოსვლის დღევე ჩაატარა საწვრთნელი ვარჯიში. იუზი.ს. სააგენტოს კორესპონდენტი ამის შესახებ წერდა, რომ ეს არც ისე იოლი საქმეა — 32 საათის სააგერო მოგზაურობის შემდეგ კიდევ შეგრჩეს ძალა და ნებისყოფა ვარჯიშის ჩასატარებლად.

18 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ადგილობრივი დროით, ბუენოს-აირესის უდიდეს სტადიონზე — „რივერ პლეიტზე“ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირისა და არგენტინის ნაყრებ გუნდებს შორის.


საბჭოთა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს ძნელი მატჩი. დაცვამ შეძლო უვნებელყო მოწინააღმდეგე თავდამსხმელთა იერიშები, სადაც თამაშობდნენ უმაღლესი კლასის ფორვარდები კორბატა, სან ფილიპო, პიზუტი და სხვანი. დიდი სამუშაო გასწია ნახევარდაცვამ (კორონინი, ნეტო), რომელიც კარგად ურთიერთმოქმედებდა თავდამსხმელებსა და მცველებს შორის.

ჩვენი გუნდის თავდასხმამ განსაკუთრებული სიძლიერით ითამაშეს გარემარბებმა მესხმა და მეტრეველმა და მარჯვენა შუამარბმა ივანოვმა. პირველი ბურთი ვატანოს იქნა სწორედ მესხის გარღვევის შემდეგ: იგი დრიბლინგით გავიდა მცველებს შორის, ზუსტად გადასცა კართან და ცენტრალურმა თავდამსხმელმა პონედელნიკმა ბურთი კარში გავსახანა. ტაიმის დასასრულამდე პონედელნიკმა კიდევ ერთხელ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — 2:0.

ერთადერთი საპასუხო ბურთი არგენტინელებმა გაიტანეს მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე. იაშინმა მიიღო მსუბუქი ტრაგეზია და მის ნაცვლად კარში ჩაღვა მასლანენკო, რომელმაც ვერ შეძლო არგენტინელთა მარცხენა გარემარბის მიერ დარტყმული ბურთის აღება.

ამრიგად, მატჩი მოიგო სსრ კავშირის გუნდმა — 2:1.

# ტურისტები ბავილენს სალაშრო ბილიკაზზე ბაკურიანი მოთხიდავურეთა ყურადღების ცენტრშია



ქრობის მარშრუტი დატკიცდა. ხელმძღვანელის წინადადებით ნორჩ ტურისტთა ლაშქრობა მიედგენა ტიანშანის მთებში „გამარჯვების პიკზე“ დაღუპული ქართველი ალპინისტების ხსოვნას.

ჯგუფი შეუდგა სამზადისს. პიონ

ლიანს, ჯ. მემბარიაშვილსა და თ. კუხიანიძეს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ტურისტებისაგან. ნორჩ სპორტსმენებს ქანდაკება უნდა დაედგათ ზეამლის მწვერვალზე.

ლაშქრობა დაიწყო. ტურისტებმა უკან მოიტოვეს რიონისხისა და გუმბათისის საგურბები, სოფ. ოფურჩხეთი, ყონეთი, ნამახვანი, ონჭიში, მექვენა, ტვიში, ნაქურალეში, ლამისთევა საველე კარვებში მოეწყო.

დილით ნარჩმა ტურისტებმა ბანაკი აშალეს და ზეამლის მთის მართლებით აიღეს გზი. ცული ამინდი აძნელებდა გზას. დაღამებამდე ტურისტები უკვე ზეამლის უმაღლეს მწვერვალზე — 2.002 მეტრის სიმაღლეზე იყვნენ. ბანაკი მწვერვალის ახლოს გაეშალა და

საშუალო სკოლის ტურისტულ რაზმი, ქუთაისის მე-2, მე-13, მე-21 და რკინიგზის მე-20 საშუალო სკოლების ტურისტული რაზმები, წყალტუბოს რაიონის პიონერთა სახლისა და სოფ. ოფურჩხეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები. ამ დღეს აქ 250-მდე ნორჩი ტურისტმა და სტუმარმა მოიყარა თავი. სხდომა გახსნა ტურისტული ლაშქრობის საერთო ხელმძღვანელმა ა. ჩავეტაძემ.

ცაგერის რაიონის სოფ. ნაქურალეშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ჯ. სვანიძემ ნორჩ ტურისტებს პარობა მისცა, რომ ადგილობრივი პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები თვალისჩინივით მოუვლიან დადგმულ ქანდაკებას და მუდამ გულის სიდრეში ატარებენ ქართველ ალპინისტთა ხსოვნას.

ა. ჩავეტაძე,  
ლ. ფანაშვილი.



სურათზე: ტურისტებმა დაბურხეს ზეამლი. ქვევით — ტურისტ-მხატვრები შეუდგნენ შემოდგომის პეიზაჟის ხატვას.

## „კოლმეურნის“ მოჭიდავეთა გამარჯვება

მასხაშალა. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). სოფლის მოჭიდავეთა საკავშირო პირად-გუნდურმა პირველობამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქში. შეჯიბრებას უოველთვის მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები. საერთო გუნდური გამარჯვება, 2 პირველი, 4 მეორე და 1 მესამე ადგილი — აი, სპორტული ნადვლი, რომელიც „კოლმეურნის“ მოჭიდავეებმა შეჯიბრებაში მონაწილე 15 გუნდს შორის მოიპოვეს.

მხატვ წონაში პირველობა და ოქროს მედალი მოიპოვა ზ. მონახელიძემ, ხოლო საშუალო წონაში უძლიერესი აღმოჩნდა ა. მელანიშვილი.

მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს: უ. კველიშვილმა (ქვეშაბუქი წონა), ბ. მარიაშვილმა (ქვეშაშუალო წონა), ა. ცხოვრებოვა (საშუალო წონა) და ზ. ხარაიშვილმა (ქვემძიმე წონა).

მომე წონის მოჭიდავე ი. ხალაძე მესამე საპრიზო ადგილზეა.



სასწავლო წლის დასაწყისში ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურისტებისა და მხარეთმცოდნეობის კაბინეტში მოსწავლეთა დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი. მასწავლებლის შეკითხვაზე, თუ ვის რომელი მარშრუტით აინტერესებდა მოგზაურობა, უმრავლესობის პასუხი იყო — ზეამლის მთა. ლაშქ

ნერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მოჭიდავეთა წრეში შეუდგნენ სიმბოლური ქანდაკების შექმნას, სადაც გამოხატულია ალპინისტური საქურველი და მთის ქიმზე მკლამი არწივი. ქანდაკებას აქვს წარწერა: „გამარჯვების პიკზე“ ტრაგიკულად დაღუპულ სახელოვან ქართველ ალპინისტებს: ი. გაბ-

## ხვეამლზე

ვანშმის სამზადისს შეუდგეით, დამე შესანიშნავი გამოდგა, უღრუბლო, წყნარი... მეორე დღეს ქანდაკების დადგმის სამზადისს შევუდგეით.

ჩვენს ბანაკს სტუმრებიც ეწვივნენ. პირველი მიაიკოვსკელი ნორჩი ტურისტები იყვნენ, მათ მოჰყვნენ ცაგერის რაიონის ცხუკუშერის

## ასე ხვდებიან

ჩვენი გაზეთის საგუშაგო ბაკურიანიდან ყოველწლიურად გვაწვდის წერილს, თუ როგორ ხვდებიან ზამთრის სპორტულ სეზონს აქაური ბავშვები. წერილში, რომელიც ახალი სეზონისათვის სამზადისს შეეხება, ბევრი სასიხარულო ფაქტია. ისინი ლაპარაკობენ იმაზე, რომ წელს უფრო მეტი უმუშაოა „დინამოს“ და სპორტკავშირის სამთო-სათხილამურო ბაზების, ტურბაზისა და „ბურვესტნიკის“ ბაზის ღირებულებს, მაგრამ არის ხარვეზებიც.

„დინამოს“ ბაზაში აღრიან გაზაფხულზე დაიწყო სამუშაოები, რაც მის მთლიან რეკონსტრუქციას ისახავდა მიზნად. ძირითად კორპუსს ორივე მხრიდან მოაშენეს ახალი, სადაც გადავა ღირებულება, კვების ბლოკი, საშხაპეები, აქვე იქნება კლუბი, მოსაცდელი დარბაზი და გასაშრობი თხილამურებისათვის. სამაგიეროდ ძირითადი კორპუსი მთლიანად დაეთმო სპორტსმენებს (200 ადგილი). ბაზა შეივსო საწოლებით, სკამებითა და სხვა ინვენტარით, მაგრამ აქ ყველაფერი წესრიგში მაინც არაა.

საგრძობლად გაჯინურდა სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც მშენებლობის სამინისტროს ბორჯომის სამშენებლო კანტორა აწარმოებს. ტემპიც ნელია და ნამუშევარიც ხშირად უხარისხო. სწორედ

65-70 პროცენტს, თუ ასე გავრძელდა, საექვთა ბაზა ისე შევდგენ პირველ სტუმრებს, როგორც ეს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებითაა ნაგარაუდები.

ბაზა განიცდის სპორტივენტარის, განსაკუთრებით ციგურების სიმცირეს. ის 5 წყვილი, რაც აქა აქვთ, არ კმარა. ბაზასთან არსებული სასადილოს სათანადოდ აღჭურვისათვის ჯერჯერობით სუსტად ზრუნავენ ბორჯომის „კურორტკავშირის“ მუშაეებიც.

თითქმის ყველა შეკეთებითი სამუშაოები დამთავრდა სპორტკავშირის ბაზაში. რეკონსტრუირებულია და გაფართოვდა კვების ბლოკი — ბაზა შეივსო ინვენტარით, მოეწყო ახალი რადიოკვანძი, საცხოვრებელი ბინები კაპიტალურად შეკეთდა, მოეწყო თხილამურების შესანახი საკანი და სხვ.

აქ შედარებით უკეთესადაა საქმე გასაქირავებელი სპორტივენტარის მხრივაც. 90 წყვილი თხილამური და 30 წყვილი ციგურები უკვე მზადაა პირველი მსურველებისათვის.

ეს ბაზა მომსახურებას უწევს ბაკურიანის სპორტულ ნაგებობებსაც. ამიტომ მათ მდგომარეობაზეც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. მიმდი-

ლინის კეთილმოწყობა. კობახე არსებულ საბავარო გზაზე მოხდა საყრდენების რეკონსტრუქცია, გამოიკვლია ბავარი, მუშა ბორბლები, შეკეთდა სლალომისა და სწრაფდაშვების ტრასები, ხოლო საცხოვროს საბოლოო მოწყობა მზიანეთის ტბაზე ჯერ კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს.

ერთი მთავარი ფაქტი გესურს აღვნიშნოთ „ბურვესტნიკის“ ბაზის სამზადისიდან და მოვავით მათ, ვისაც ეს შეეხება, ის, რომ ახალი კორპუსის მეორე სართულ-

უწვდის მეზობელ ბაზებს, როცა მათ არ ძალუძთ მოძალბული სტუმრების მიღება. ამ ბაზაშიც ბევრი რამ გაკეთდა სეზონის შესახვედრად, მაგრამ იგი აუცილებელ რეკონსტრუქციასა და გაფართოებას საჭიროებს.

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ კეთდება ბაკურიანში და შეიძლება ზოგიერთმა იკითხოს, ამდენი კეთილი საქმის ფონზე ეს ხარვეზები თქმაც არ ღირსო, მაგრამ აბა ზამთარში აბრძანდით ბაკურიანში, გამოსცადეთ რა ძნელია მოუწყო-

## ბავებში სეზონს

ზე საცხოვრებელი ბინების მოწყობის სამშლიანი გაჯინურება ვერავეთარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ ბაზას შეუძლია 70-80 სპორტსმენის ერთდროულად მიღება. აქ კვლავ ვადაუქრულ პრობლემად რჩება ბაზის აღჭურვილობის ნაკლებობა, საწოლები და მათი გაწყობლობა მცირეა, სპორტივენტარი — მწყობრიდან გამოსული, რემონტი არ ჩატარებულა საცხოვრებელ ბინებში, კვების ბლოკში ეს ბაზა სპორტსმენებისათვის საკმაოდ ხელსაყრელ ადგილზეა — ახლოა კობხეორასთან და პირობებიც დამაფრთხილებელი უნდა იყოს, რათა მის ბინადართ არ ქონდეთ სასაყვედურთ.

ბოლოს, ტურისტთა ბაზის შესახებ. თუ მხოლოდ სახელის მიხედვით ვიმსჯელებთ, მას საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს ე. წ. „ნამდვილ“ მოთხილამურებთან, მაგრამ პირადად ახრულებს რა თავის პირადად მოვალეობას ზაფხულში ტურისტთა მომსახურების მხრივ, ზამთრით დახმარების ხელს

ბელ ბინაში ცხოვრება, ან როცა ინვენტარს ქირითაც ვერ იშოვნით, წყლის უქონლობის გამო ხელპირს ვერ დაიბნით, სასადილოების კეთილმოწყობლობის გამო წესიერად ვერ შენაყრდებით. და მაშინ დარწმუნდებით, რომ ეს ხარვეზები არც თუ ისე მცირე მნიშვნელობისა ყოფილა.

### 28 - ე ვრადისთალი

დამთავრდა თბილისის წარმოება-დაწესებულებათა ოცდამეორე საქალაქო სპორტკავშირის მიმდენი პარტიის XXII ყრილობისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობას დებულობდა დედაქალაქის უძლიერესი ფიზკულტურული კოლექტივების 500-ზე მეტი სპორტსმენი. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა სპორტულმა კლუბმა „გამარჯვებამ“. მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტკლუბი „ისანი“. მესამე ადგილზე — ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს სპორტსმენთა კოლექტივი.

ი. საბაიშვილი

## ლელო სპორტული ცენტრი

ამიტომ შეიქნა სპორტო სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილის განმეორებით შესრულება, რამაც საგრძობლად შეადგინა გვერდის განაღდება და ახლა იგი სულ შეიადგენს ნარე შეკეთება გაუკეთდა ორივე დიდ ტრამპლინს, ხოლო 70-მეტრიან ტრამპლინს — დასაშვები მოედნის რეკონსტრუქცია. კვლავ გაჯინურდა 25-მეტრიანი ტრამპ-



მდგომარეობა XIV ტურის შემდეგ (21 ნოემბრისათვის)


Table with 17 columns (№ 1-17) and 17 rows listing chess players and their performance points. The table shows the ranking of 17 players based on their performance in the 14th tournament.

პრინციპალ-ბანია (ტელეფონით). ხაერთოდ, გადაღებული პარტიების დამთავრება განსაკუთრებული ინტერესით ხარგბლობს როგორც შეჯიბრების მონაწილეთა, ისე უზრუნველყოფს შორის. ამ პარტიების შედეგებს შუქი შეაქვს გამარჯვებისათვის მებრძოლთა შანსებში, გვიჩვენებს თუ რა გეზით წარიმართება ლიდერთა მომავალი შეხვედრები. მაგრამ ამჟამად გადაღებული პარტიების გათამაშებამ, რომელიც XIV ტურის შემდეგ მოეწყო, სხვა ელფერიც მიიღო. ეს გამოიწვია წინა დღით იუგოსლავიის გაზეთ „პოლიტიკაში“ გამოქვეყნებულმა პრეტენდენტთა ტურნირის დირექტორის მიხედვით პეტრონიკის სტატიაში სათაურით „გამარჯვების კი ნ. გაფრინდაშვილი“.

რინდაშვილის დაწვრილ შანსები? ეს მათ იცნან. მაგრამ კვლავ იყო პრეტენდენტი—ეხეც ძალზე საბატიოა. თუ ტურნირში გამარჯვებული უივე „გამოვიცანი“, სამაგიეროდ მიმდინამ დავასახელო ის ორი ბედნიერი, ვისაც შეეძლება განაგრძოს ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მომავალში. ბევრია დამოკიდებული გადაღებული პარტიების დამთავრებაზე, რომლებიც აქვთ ბორისენკოსა და ნედელკოვიჩს. კიდევ უფრო მეტს გვეტყვის ამ საკითხში ბორისენკო-ნედელკოვიჩის შეხვედრა XV ტურში ასეთი წერილის შემდეგ ბუნებრივია, გადაღებული პარტიების დამთავრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაშის დაწყების წინ მხატვარ კოლეგამ ჰუნდსურენის, ლაზარევიჩის, შოდე დე სილანის, კონარკოვსკასა და პეტრევიჩის თხოვნით გააფორმა შედეგები ბრძოლის განუახლებლად ჰუნდსურენ-ლიენის (დანება ჰუნდსურენი), ნიკოლაულაზარევიჩის (დანება ლაზარევიჩი), კონარკოვსკა-პეტრევიჩისა და პეტრევიჩ — შოდე დე სილანის (ორივეში ყალიბი) პარტიებში.

როცა თავიანთ მავიდას მიუხედნენ ნედელკოვიჩი და გაფრინდაშვილი, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ტურნირის ლიდერს, რომლის პოზიცია ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა, რაღაცა მოუნახავს.

ნ. გაფრინდაშვილი



ნ. ნედელკოვიჩი

45. ...მფ3 (ნ. გაფრინდაშვილის ჩაწერილი სვლა) 46. de2 fe 47. fe f1 48. მფ3

გაკეთდა ეს სვლები და გაფრინდაშვილი მცირე მოფიქრების შემდეგ ყალიბს შეურიგდა.

— თქვენი 48-ე სვლა უადრესად ზუსტი იყო, — უთხრა ნონამ ნედელკოვიჩს. — იგი ერთადერთი ხაყალიმ გაგრძელება, — უბასუხა იუგოსლაველმა. — მე და ჭურაშვიჩი ხაფუძვლიანად გავერკვიეთ შეწყვეტილ პოზიციაში. ორივემ გაიღმა და დაწვების ნიშნად ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

მცირე შეხვედრების შემდეგ ნედელკოვიჩი ეთამაშა ზეორიკნას. პირველს უპირატესობა ჰქონდა. მოახლოვებულ ცაიტნოტში ნედელკოვიჩს გამოუბარა პოზიციის სამჭერ გამოორება, რაც საჭადრაკო კოდექსის მიხედვით ერთ-ერთი პარტიონის მოთხოვნის შემთხვევაში ყალიბით ფიქსირდება. რასაკვირველია, ზეორიკნამ არ დააუფვნა გაეკეთებინა მხატვებისათვის სათანადო განცხადება.

ბორისენკომ ზუსტი თამაშით მოუგო რინდერს, ვოლბერტმა — გრესერს, ლაზარევიჩმა — ლიენს, ნიკოლაუმ — კარაკაშენს. ყალიბით დასრულდა ზატულოვსკია — პოლიქრონიადეს პარტია.

XIV ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს — 11 ქულა აქვს, ვ. ბორისენკოს — 9,5 ქულა, ლ. ვოლბერტს — 8,5 ქულა 14-დან, ვ. ნედელკოვიჩს — 8 ქულა.

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ. ხადამოს შედგა მსოფლიო ლეინ-კარაკაშენს XIII ტურიდან გამოტოვებული პარტია. დღეს კი გაიმართება XV ტური.

ტალის შეხვედრა შიანოსესიტან გამოირჩეოდა მწვავე მომენტებით. ენდშილში პაიკის მოგების შემდეგ ტალმა ვირტუოზულად განავითარა პარტია. მაგრამ თამაშის დროის ამოწურვის გამო პარტია გადიდო. ექს-ჩემპიონის მოგება არ იწვევს აშკვს.

ტალის შეხვედრა შიანოსესიტან გამოირჩეოდა მწვავე მომენტებით. ენდშილში პაიკის მოგების შემდეგ ტალმა ვირტუოზულად განავითარა პარტია. მაგრამ თამაშის დროის ამოწურვის გამო პარტია გადიდო. ექს-ჩემპიონის მოგება არ იწვევს აშკვს.

ტალის შეხვედრა შიანოსესიტან გამოირჩეოდა მწვავე მომენტებით. ენდშილში პაიკის მოგების შემდეგ ტალმა ვირტუოზულად განავითარა პარტია. მაგრამ თამაშის დროის ამოწურვის გამო პარტია გადიდო. ექს-ჩემპიონის მოგება არ იწვევს აშკვს.

საქართველოს ეურნალისტთა კავშირმა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდაამავლი პრინციპალ-ბანი და ამ საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად გასულ კვირას უკვე მესამედ ჩაებნენ ბრძოლაში დედაქალაქის ფიჭულტურული კოლექტივების უძლიერესი გუნდები.

პირველ ეტაპზე, რომელიც 850-მეტრიან მონაკვეთს წარმოადგენდა, ავიღად დაწინაურდა უნივერსიტეტული ნ. თვაური. საშუალო მანძილზე რბენის ოსტატმა ესტაფეტა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენს ზ. ჭარაშენს გადასცა.

პარტია გადიდო. გურგენიძეს გაჩნია ყალიბის შანსები, გადაღებული კიდევ ორი პარტია.

ვასილკოვმა დაამარცხა ვლადიმირი, ხოლო ავერბახს — შამკოვიჩი და ბრონსტეინს — პოლუგაევსკი ყალიბზე შეთანხმდნენ. ხასინის ავადმყოფობის გამო არ შედგა გიუსლის-ხასინის პარტია.

უპანასკნელ საათში!

20 ნოემბერს გაიმართა პირველი სამ. ტურში გადაღებული პარტიების დამთავრება.

თამაშის განუახლებლად ყალიბზე შეთანხმდნენ ტალი-ბაგიროვი, ტაიმანოვი-ვასილკოვი და პოლუგაევსკი-ხოლომოვი.

გურგენიძემ იშვიათი სიზუსტით თამაშა გადაღებული პარტია კერესთან და საფონთან, რომლებშიც მას მხოლოდ ყალიბის შანსები ჰქონდა. ორივე პარტიაში მან მიადწია კიდევ ყალიბს.

ტალმა დაამარცხა შიანოსესი, ხასინმა — კოცი, ხოლო ვოგდა — ლეინი. მცირე ბრძოლის შემდეგ ყალიბით დასრულდა შიანოსესი-ვლადიმირის და ლეინ-კერესის შეხვედრები.

ორი პარტია კვლავ დაუთმავრებელი დარჩა.

III ტურის შემდეგ ბ. ხასისა და ვ. სპასისს შ.3 ქულა აქვთ.

გედიზედ მესამედ

ლენინის მოედანი-ბარათაშვილის ქუჩა-კარლ მარქსის მოედანი-სტალინის სახელობის სანაპირო-ლინაბანოს სტადიონი-გმირთა მოედანი-პავლოვის ქუჩა-ბურვეგესტნიკის სტადიონი-კავკავაძის პროსპექტი-ლენინის ქუჩა-რუსთაველის პროსპექტი-ლენინის მოედანი: იი კომბინირებული ესტაფეტის შეკრული მარშრუტი, რომელსაც „თბილისის დიდი წრის“ სახელით ჩაეყარა საფუძველი ორი წლის წინათ.

საქართველოს ეურნალისტთა კავშირმა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდაამავლი პრინციპალ-ბანი და ამ საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად გასულ კვირას უკვე მესამედ ჩაებნენ ბრძოლაში დედაქალაქის ფიჭულტურული კოლექტივების უძლიერესი გუნდები.

პირველ ეტაპზე, რომელიც 850-მეტრიან მონაკვეთს წარმოადგენდა, ავიღად დაწინაურდა უნივერსიტეტული ნ. თვაური. საშუალო მანძილზე რბენის ოსტატმა ესტაფეტა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენს ზ. ჭარაშენს გადასცა.

უნივერსიტეტულ სპორტსმენთა ლიდერობა გაგრძელდა მეოთხე ეტაპამდე, როცა მორბენლები ველოსპორტისტმა გოგონებმა შეიკვალეს. აქ ვ. პოლუგაევსკის (უნივერსიტეტი) ჯერ წამოეწივნენ და შემდეგ გაუსწრეს ფიჭულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გ. კორჩაგინმა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. გავრილოვამ, 2200-მეტრიანი მონაკვეთის ფინიშთან ამ უკანასკნელმა მძლავრი ბიძგით ჩამოიტოვა ა. გავრილოვა და პირველმა გადასცა ამანათი თანაგუნდელ ბაბაქიშვილს.

სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მძლეოსან ქალის ლიდერობა. ფიჭულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. ვოლოშინამ ველოსპორტის დანაკარგი აინაზღაურა და პირველმა „დადასტოვა“ ესტაფეტა თანაგუნდელ ვ. რუკინს.

ეს იყო და ეს. ფიჭულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს ხელიდან აღარ გაუშვიათ ლიდერობა და როცა მათმა წარმომადგენელმა ნ. ნოზაძემ უკანასკნელი ეტაპის ფინიშის ხაზი გადაკვეთა, მსაჯთა წამბოშებზე აღნიშნული იყო შესანიშნავი შედეგი — 33.05,4 წუთი. მეორე ადგილზე გამოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, რომლის შედეგია 34.19,0.

მეორე და მესამე ჯგუფებში მონაწილე გუნდებიდან შესაბამისად გამარჯვებს მანქანათმშენებლობის ტექნიკუმისა და ქალაქის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტსმენთა კოლექტივებზე.

სურათზე: ესტაფეტის გადაცემის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარაინისა.

... მოცურავე თითქმის უგრძობ მდგომარეობაში იყო. მას კარგა ხანია უკანასკნელი მალ-ღონე გამოვლიდა და მხოლოდ რაღაც სასწაულით, მექანიკურად იქნევდა ხელს. ლა-მანუის ყინულოვანი წყალი შეუჩერებლად ბობოქრობდა გარშემო და დინება შორს მიჰქანებდა სპორტსმენს.

შესასრულებლად ლა-მანუის ორივე მხარეს — ინგლისიდან საფრანგეთში და უკან. მან ეს ჯერ კიდევ 1950 წელს სცადა, მაგრამ ვაცურა მხოლოდ ერთ მხარეს და შემდეგ იძულებული გახდა დაენებოდა სტიქიას. იგი ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს წულიდან. მას შემდეგ ლა-მანუის ორივე მხარეს ვაცურვა დააბირა ორმა მოცურავე ქალმა: ფლორენს ჩეღვიკა (აშშ) და გრეტა ანდერსონმა (დანია), მაგრამ ორივე სპორტსმენის ცდა უნ-

ყოფო გამოდგა. ლა-მანუი არ ნებდებოდა. ამასობაში ლა-მანუის ცალ მხარეს ვაცურვის რეკორდი დამყარა 30 წლის პაკისტანელი მოცურავე ბროიან დასმა, რომელმაც კალედან დუვრში მიადწია 10 საათსა და 25 წუთში. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ევგვიტელ მანან აბდელ რეჰიმს და 11 საათსა და 05 წუთს უდრიდა.

ნელი მოცურავე და ორმხრივი ვაცურვა მის ოცნებას წარმოადგენდა. ფირმა, რომელიც რეკლამის მიზნით აშაადებდა არგენტინელს სარგორდო ვაცურვისათვის, საქმით ათნახს პირდებოდა მას, მაგრამ ლა-მანუის გადალახვა ინგლისიდან საფრანგეთში და უკან ეს ისეთი საქმეა, რომელიც ხაც სულ იოლად შეუქალა იმსხვერპლოს ადამიანის სიცოცხლე.

კილომეტრიანი ვაცურვა მოახდინა ჟ. რასარიდან სან-ისიდრამდე და წყალში დაჰყო 94 საათზე მეტ ხანს. მაგრამ ანტლანტიკის ოკეანე ლა-მანუთან შედარებით თბილი აბაზანა და გარდა ამისა მას არც ის მძლავრი დინება აქვს, რომელსაც უმოწყალოდ მიაქვს სპორტსმენის ენერჯია და ძალა.

დომ მონდომა 18 საათი და 50 წუთი. აქ მან ნაპირზე ფეხი შედგა. წუთი დაჰყო კინოაპერატორებისა და ფოტორეპორტიორების წინაშე და უკანვე გამობრუნდა. ვაცურვა კინაღამ არ შეწყდა იმის გამო, რომ კატერში, რომელიც თანახლდა სპორტსმენს, გაუტყდათ ბალონი სასმელი წყლით, მაგრამ შორიასლოს იღბლად აღმოჩნდა რომელიღაც გემი, საიდანაც სწრაფად შეავსეს დანაკლისი.

ვრამდე ა. აბერტონდო განვლო 84 საათსა და 15 წუთში. განსაკუთრებით მიიმე რუო დისტანციის დასასრული: ბოლო 8 კილომეტრს დასასრულად 12 საათი, ხოლო 1600 მეტრს — 11 საათი, მაგრამ ეს ორმხრივი ვაცურვა პირველად მსოფლიოში სპორტსმენმა მანინც დაამთავრა. ნაპირზე იგი ამოვიდა ამღვრელი თვალებით, აბსოლუტურად ღონიერი და იქვე ჩაუვარდა ექიმებს ხელში.

**„რეალის“ ნახტომი**  
ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. გასული წლებისაგან განსხვავებით პირველი ადგილისათვის ბრძოლა თითქმის არაა. თავიდანვე დაწინაურდა მადრიდის „რეალი“ (11 გამარჯვება და 1 წაგება). გუნდში მცირეოდენი ცვლილებებია — ტრავმის გამო მწყობრიდან ხანგრძლივი დროით გამოვიდა ცნობილი მეკარე ვისენტე, ხოლო შვედი სომონსონი, რომელმაც ვერ მონახა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, გადავიდა პროვინციულ ქალაქის სან-სებასტიანის კლუბში. „რეალის“ თავდასხმის ძირითადი შემადგენლობა ასეთია: ტეხალა-დელსოლი-დი სტეფანო-პუშეკაი-პენტო.



**როუზის გეგმები**  
ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი პრეზიდენტმა ინგლისელმა სტენლი როუზმა ამ ციკლის წინ ილაპარაკა თავისი გეგმების შესახებ. მან განაცხადა, რომ იგი შემდგომში დიდ ყურადღებას მიაქცევს ისეთ შეჯიბრებებს, როგორც არის მსოფლიო პირველობა, ევროპის ჩემპიონთა თასი თასის მფლობელთა თასი და ევროპის თასი. მან დასძინა, რომ მისი სურვილია ევროპის ჩემპიონთა თასი გადაიქცეს საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატად.

ამჟამად ლიდერთა ჯგუფში მდგომარეობა ასეთია: „რეალმა“ მოაგროვა 22 ქულა, მადრიდის „ატლეტიკომ“ — 17, ხოლო „სარაგოსამ“ — 16. მხოლოდ მეოთხე ადგილზეა „ბარსელონა“, რომელმაც წელს თითქმის ყველა თავისი „ვარსკლავი“ დაკარგა.

**სენოსნობა**  
**სოხუმი**  
სოფელ დრანდის ბაბუშერის იპოდრომზე გაიმართა სოხუმის რაიონის ცხენოსანთა პირად-გუნდური პირველობა. სპორტის ეროვნული სახეობების — ისინდისა და ცხენბურთის ფინალში ერთმანეთს შეხედნენ დრანდისა და ბესლეთის გუნდები. ორივე შეხვედრაში გამარჯვება დრანდელ ცხენოსნებს დარჩათ. მათ ისინდი მოიგეს ანგარიშით 6:5, ხოლო ცხენბურთი — ანგარიშით 9:1. საშუალო და უმაღლესი კლასის

დაიოკოლეათა გადალახვაში რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ე. კუბინიმა (ეშერის რაისაბუკი). ორიკლომეტრიან სადა დოსსა და ექსკილომეტრიან მარულაში ფინიშთან პირველი იყო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ო. ხაინდრაჯა. ადგილობრივი გიშის ცხენების მ-კილომეტრიან მარულაში ფინიშის ხაზი პირველად გადაკეთა ნორჩი მხედრის — ნ. უგრეხელიძის „ფუტარმა“ (ეშერის სასოფლო საბჭოს წინამძღოლის სახელობის კოლმეურნეობა). გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ეშერის სასოფლო საბჭოს ცხენოსანთა კოლექტივი. მეორეზეა — დრანდის და მესამეზე ბესლეთის სასოფლო საბჭოს გუნდები.

**გეგეჭკორი**  
ამ დღეებში გეგეჭკორის სპორტულ მოედანზე გაიმართა რაიონის პირველობა ცხენოსნობაში. 10-კილომეტრიან მარულაში პირველ ადგილზე გამოვიდა ლეხანდრაოს კოლმეურნეობის მხედარი ი. დანელია, მეორე ადგილი წილად ხვდა ნაჯახაის კოლმეურნეობის მხედარს გ. ძაგნიას.

**გადლოგა... ფახგურთელას**  
განთქმული ავსტრიელი აქტიორი ა. პორტივერი თავის ქვეყანაში ცნობილია როგორც ფეხბურთის დიდი მოყვარული. იგი თავის გუნდს ხშირად დაყვება უცხოეთში და სათადარიგო მოთამაშეთა სკამიდან უყურებს ხოლმე თამაშს. მონდა ისე, რომ სწორედ იმ სადამოს, როცა ა. პორტივერს სპექტაკლი ჰქონდა ვენის აკადემიურ თეატრში, დაინიშნა საერთაშორისო მატჩი ავსტრიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის დასაწყისი და მატჩის დასასრული ემთხვეოდა ერთმანეთს, მსახიობმა კატეგორიულად განაცხადა, რომ თამაშის დასრულებამდე ფეხს არ მოიკლავს სტადიონიდან. თეატრის დირექტორმა იცოდა თავისი პრემიერის კარგი და წაივინა უმაგალითო დათმობაზე: სპექტაკლის დაწყება გადადო ნახევარი საათით.

**სამიონოვი**  
უკანასკნელ ხანებში თავისი თავხედური ქცევითა და მკვეხარა განცხადებებით ყურადღება მიიპყრო პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა პეიპეტომ. მას აშკარად გაუმართლა რამდენიმე საერთაშორისო მატჩში, მაგრამ, როგორც ინფორმირებული ჟურნალისტები იუწყებიან, ეს უფრო ბ. გუტმანის („ბენფიკის“ მწვრთნელის) დამსახურებაა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს პეიპეტოს. მაგრამ აი ეს მწვრთნელი ბ. გუტმანის გარეშე გაემგზავრა ლუქსემბურგში მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩ-

ზე და დაპირდა ევროპაში ყველაზე უფრო სუსტ ნაკრებთან (2:4). ლუქსემბურგში დამარცხების შემდეგ პეიპეტომ თავის ზღვრიან ნელობას პირობა მისცა, რომ ლინდონმა აუცილებლად დაამარცხებდა ინგლისის ნაკრებს. როგორც ინგლისის ვახუთები იუწყებიან, აქ პორტუგალიელებმა ვერაფერი კარგი ვერ უჩვენეს მაყურებლებს, ხოლო მათმა მწვრთნელმა ერთხელ კიდევ შეირცხვინა თავი. იგი ქურდულად შეიპარა ინგლისის ნაკრების ვარჯიშზე, რაც მასპინძელ-

თათვის შეუმჩნეველი არ დარჩა. ინგლისელთა მწვრთნელმა უ. უინტერბოტომმა მიუთითა პორტუგალიელს ულაპარაკო ქვეყანაზე, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ეს „ჩვეულებრივი მოვლენაა“. პორტუგალიელთა მწვრთნელი დაუყოვნებლივ იქნა გაძევებული ინგლისელთა საფარეშო ბაზიდან. პორტუგალიელთა გუნდში მხოლოდ ერთმა მოთამაშემ მიიპყრო სპეცილისტთა ყურადღება. ესაა 19 წლის ზანგი ვისებო, რომელსაც ინგლისის ვახუთები „მეორე